

კერძო-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები  
(სტრატეგია, ამოქმედების პირობები, სამართლებრივი რეგულირება)

მილენა სვანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მილენა სვანიძე

01.07.2020

## აბსტრაქტი

განსახილველ საკითხს წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებები, კერძოდ კი მათი გამოყენების სტრატეგია, ამოქმედების პირობები და სამართლებრივი რეგულირება. ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებს უდიდესი რისკის ქვეშ აქცევს აგრესორი კომპანიის მიერ მისი დაუფლების საფრთხე, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს, როგორც მტრული, ისე მეგობრული დაუფლების სახით. აღნიშნული საფრთხის არსებობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან, შესაძლოა ძალაუფლება ერთი ჯგუფის ხელში მოექცეს და ამ ჯგუფმა პირადი მოტივებიდან გამომდინარე, საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ინტერესების უგულვებლყოფით, მიიღოს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები. ამ შედეგის თავიდან ასარიდებლად, უმნიშვნელოვანეს დამცავ მექანიზმს წარმოადგენს კორპორაციულსამართლებრივი თავდაცვის ღონისძიებები, რომელიც შესაძლოა განსხვავებული იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის დაუფლებასთან გვაქვს საქმე და რა არის საზოგადოების ძირითადი ინტერესი. კვლევის ინსტრუმენტია საქართველოს კანონმდებლობა, სხვადასხვა სახელმძღვანელო, სტატია და სადისერტაციო ნაშრომი, ასევე, დელავერის კორპორაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ყველაზე დეტალურად და საინტერესოდ აწესრიგებს საკვლევ საკითხს. ქართულ რეალობაში, როცა საკორპორაციო სამართალთან, განსაკუთრებით კი კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია, უმნიშვნელოვანესია რიგი საკითხების დეტალური შესწავლა და თავდაცვის იმ ღონისძიებების სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ქართული საკორპორაციო სამართალში წარმატებას ჰპოვებს. წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის: შეისწავლოს კერძო-სამართლებრივი თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების სუბიექტები, ამოქმედების პირობები და სტრატეგია, რაც ქმნის მაქსიმალურ გარანტიებს, საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ინტერესებისა და თვითმყოფადობის დასაცავად.

## **Abstract**

The research subject of this thesis is defensive measures related to private law, namely - the strategy of their application, conditions necessary for them to be activated and their relevant legislative regulation. The danger deriving from companies who aggressively pursue acquiring publicly listed joint stock companies via a friendly or hostile takeover puts the latter at enormous risk. Appropriate assessment of the aforementioned danger is of paramount importance for the companies as there is a possibility that the power might turn out to be in the hands of a particular group, which based on its personal motives might take vital decisions ignoring the interests of the company itself. It is noteworthy that corporate law-related defensive measures are considered as an extremely significant mechanism efficient enough to prevent such consequences. These measures vary in each individual case based on what type of a takeover the company is dealing with and what the company's primary interests are in actuality. The research sources for this thesis are Georgian legislation, various textbooks, articles and dissertations. Apart from that, an unequivocally valuable source for the research appeared to be the corporate law and relevant legal practice of the state of Delaware, which regulates the topic of my research in especially detailed and fascinating manner. In Georgian reality, where regulation of the issues related to corporate law (and especially, corporate management) is still being developed, fundamentally important steps are researching numerous relevant matters thoroughly and implementing the types of defensive measures and strategies, which will prove to be successful in Georgian corporate law. That is exactly the very purpose of the presented research: to study the subjects eligible to apply private law-related defensive measures and to analyze the conditions and strategy, necessary for setting these measures in motion, which provide maximum amount of guarantees in order to protect the interests and the independence of a company, as a self-reliant subject.